

შპს ბენ

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	13

შპს „ბენი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	87	195
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	643	255
გადახდილი ავანსები		2,124	76
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		434	29
წინასწარ გადახდილი გადასახადები		15	25
სულ მიმდინარე აქტივები		3,303	580
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	665	654
სულ გრძელვადიანი აქტივები		665	654
სულ აქტივები		3,968	1,234
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	2,327	372
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,327	372
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	-	835
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	835
სულ ვალდებულებები		2,327	1,207
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,641	27
სულ საკუთარი კაპიტალი		1,641	27
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,968	1,234

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ბენი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	2019	2019
ამონაგები	8	3,055	1,712
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9	(1,829)	(1,260)
საერთო მოგება		1,226	452
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(807)	(497)
სხვა შემოსავალი		1,598	63
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(301)	41
საპროცენტო ხარჯები		(102)	(80)
მოგება დაბეგვრამდე		1,614	(21)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		1,614	(21)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „ბენი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017		-	48	48
პერიოდის ზარალი		-	(21)	(21)
31 დეკემბერი, 2018		-	27	27
პერიოდის მოგება		-	1,614	1,614
31 დეკემბერი, 2019		-	1,641	1,641

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ბენი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	1,614	(21)
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	42	5
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	301	(41)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(388)	(59)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	(2,048)	(54)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(405)	(12)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	10	(25)
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(14)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,955	33
ფულადი ნაკადების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან	1,081	(188)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(53)	(323)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(53)	(323)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,722	641
სესხის გადახდა	(5,557)	(241)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(835)	400
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	193	(111)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(301)	(7)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	195	313
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	87	195

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბენი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 206336678) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 10 თებერვლიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ორხევის დასახლება, მუხამის ქ. N52.

დაფუძნების დღიდან კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის აბესალომ შანიძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - აბესალომ შანიძე.

შპს „ბენი“ ეწევა სპეცტანსაცმლის წარმოებას.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები	10%
სატრანსპორტო საშუალებები	10%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	15%

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „ბენი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	60	59
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	27	136
სულ ფულადი სახსრები	87	195

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	643	255
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	643	255

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	133	44	134	32	343
მატება	92	-	215	15	322
31 დეკემბერი 2018	225	44	349	47	665
მატება	-	27	11	15	53
31 დეკემბერი 2019	225	71	360	62	718
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2017	-	1	5	-	6
ცვეთის ხარჯი	-	1	4	-	5
31 დეკემბერი 2018	-	2	9	-	11
ცვეთის ხარჯი	-	39	3	-	42
31 დეკემბერი 2019	-	41	12	-	53
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	133	43	129	32	337
31 დეკემბერი 2019	225	42	340	47	654
31 დეკემბერი 2019	225	30	348	62	665

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,327	372
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,327	372

შპს „ბენი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

7. სესხები

სესხები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი	-	835
სულ სესხები	-	835

8. ამონაგები

ამონაგები	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,055	1,712
სულ ამონაგები	3,055	1,712

9. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2019	2018
მასალების ღირებულება	1,814	1,256
სხვა ხარჯების ღირებულება	15	4
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,829	1,260

10. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
ხელფასის ხარჯი	598	334
ცვითის ხარჯი	42	5
სხვა ხარჯი	167	158
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	807	497

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. ვირუსმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 2020 წელს მცირედით შეაფერხა კომპანიის ოპერაციები. თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა პერიოდის შემდგომ არ ფიქსირდება.

შპს „ბენი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2019 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	15	15
სულ მენეჯმენტის ხელფასი	15	15

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.